



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 17

23 იანვარი
“ --- ” ----- 2024 წ

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისში, ჯიქიას ქუჩა №18-ში; ქალაქ თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქუჩა №46-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №01.14.05.003.014; №01.14.05.003.013) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 ივლისის №328 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 17 იანვრის №24.72.82 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:


1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, ჯიქიას ქუჩა №18-ში; ქალაქ თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქუჩა №46-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №01.14.05.003.014; №01.14.05.003.013) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 ივლისის №328 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე <http://www.ms.gov.ge> რეგისტრირებული №0123305247-67 (№01233502-67; №012336482-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



გიორგი ტყემალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 24.72.82
17 / იანვარი / 2024 წ.

„ქალაქ თბილისში, ჯიქიას ქუჩა N18-ში; ქალაქ თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქუჩა N46-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.14.05.003.014; N01.14.05.003.013) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 ივლისის N328 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 1 ნოემბერს N0123305247-67 (N01233502-67; N012336482-67) განცხადებით მიმართა ლევან დიასამიძემ (პ/ნ 1700100820) და მოითხოვა „ქალაქ თბილისში, ჯიქიას ქუჩა N18-ში; ქალაქ თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქუჩა N46-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.14.05.003.014; N01.14.05.003.013) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 ივლისის N328 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ჯიქიას ქუჩა N18-ში; ქალაქ თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქუჩა N46-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.14.05.003.014; N01.14.05.003.013) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. საპროექტო არეალის ჯამური ფართობია 9 014 კვ.მ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); გამწვანებული ტერიტორიების ფენით - ურბანული გამწვანება (შიდა კვარტალური);

საპროექტო ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, ჯიქიას ქუჩა N18-ში; ქალაქ თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქუჩა N46-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.14.05.003.014; N01.14.05.003.013) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 ივლისის N328 განკარგულებით დამტკიცებულიქნა



განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, რომლის შესაბამისადაც, ფუნქციური გადანაწილება განისაზღვრა შემდეგნაირად: საცხოვრებელი-90%, საზოგადოებრივი - 10%. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების 16¹ მუხლის შესაბამისად, მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადასაცემი ოდენობის (812 კვ.მ.) შესაბამისი ფასის გადახდა. შესაბამისად, განხორციელდა 812 კვ.მ-ის შესაბამისი ფასის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადახდა.

დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი პარამეტრები:

საპროექტო არეალის ფართობი - 9 014 კვ.მ.

ნაკვეთი N1

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) = 8827 კვ.მ.

კ1-0,5 (4 413,5 კვ.მ)

კ2-3,5 (31 248 კვ.მ)

კ3-0,3 (2 648,1 კვ.მ)

ნაკვეთი N2

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) = 130 კვ.მ.

კ1-0,5 კ2-0,5 კ3-0,3

ნაკვეთი N3

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) = 15 კვ.მ.

კ1-0,5 კ2-0,5 კ3-0,3

ნაკვეთი N4

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)- 42 კვ.მ.

კ1- კ2- კ3-0,1

სართულიანობა - 23-24 მიწისზედა სართული, 3 მიწისქვეშა სართული 78,05 მეტრი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 ივლისის N344 განკარგულებით შეთანხმდა ხელშეწყობი ღონისძიებები კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შპს „იბერკომპანისთვის“ (ს/ნ 231963818) მისამართზე - ქალაქი თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N46-ში მდებარე მიწის

ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.013) მიმართებით, რომლის მიხედვითაც:

ა) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება $k-2=3.5$ - დან $k-2=4.0$ -მდე;

ბ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;

წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მიხედვით, განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება ითვალისწინებს მხოლოდ N01.14.05.003.013 საკადასტრო ერთეულზე (ნაკვეთი N-1) ხელშეწყობი ღონისძიების გამოყენების ფარგლებში მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ-2 ზღვრული მაჩვენებლის გადამეტებას $k-2=3.5$ -დან $k-2=4.0$ -მდე.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების 16² მუხლის შესაბამისად, მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს საპროექტო არეალში საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადახდა, რომელიც დგინდება საბაზრო ღირებულების შესაბამისად, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე. საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვროს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებით ნამატი ფართის 4%-ისა და 16¹ მუხლით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიების ჯამური ოდენობის შესაბამისად“.

იმავე წესების 16¹ მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, განაშენიანების რეგულირების გეგმისა და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში, საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-სა (სსზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები პროცენტულობის გადამეტებისთვის მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს საპროექტო არეალში/ საპროექტო შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადახდა, რომელიც დგინდება საბაზრო ღირებულების შესაბამისად, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე. პირველი პუნქტით გათვალისწინებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვროს აღნიშნული ფუნქციური ზონისათვის კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 4%-ის ოდენობით.

წარმოდგენილ შემთხვევაში, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების 16¹ და 16² მუხლის თანახმად, საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვროს განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილსა და მოთხოვნილ განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 4%-ისა (927 კვ.მ.-სა და 812 კვ.მ.-ს სხვაობა - 115 კვ.მ) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებით ნამატი ფართის 4%-ის (176.5 კვ.მ.) ჯამური ოდენობის შესაბამისად, რაც შეადგენს 291.5 კვ.მ.-ს.

კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი პარამეტრები

ნაკვეთი N1

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) = 8827 კვ.მ.

კ1-0,5 (4 413,5 კვ.მ)

კ2-4,0 (35 661 კვ.მ)

კ3-0,3 (2 648,1 კვ.მ)

ნაკვეთი N2

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) = 130 კვ.მ.

კ1-0,5 კ2-0,5 კ3-0,3

ნაკვეთი N3

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) = 15 კვ.მ.

კ1-0,5 კ2-0,5 კ3-0,3

ნაკვეთი N4

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)- 42 კვ.მ.

კ1- კ2- კ3-0,1

სართულიანობა - 27-28 მიწისზედა სართული,3 მიწისქვეშა სართული.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ)თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტიტ საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განსაზღვრული მაქსიმალური

საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოყენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ცვლილების ინტენსივობიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა არ განხორციელებულა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ქალაქ თბილისში, ჯიქიას ქუჩა N18-ში; ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N46-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.14.05.003.014; N01.14.05.003.013) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 ივლისის N328 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ემუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N0123305247-67 (N01233502-67; N012336482-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას „ქალაქ თბილისში, ჯიქიას ქუჩა N18-ში; ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N46-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.14.05.003.014; N01.14.05.003.013) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 ივლისის N328 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს საპროექტო არეალში საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადახდა, რომელიც დგინდება საბაზრო ღირებულების შესაბამისად, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე. საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვროს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებით ნამატი ფართობის 4%-ისა და 16¹ მუხლით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიების ჯამური ოდენობის შესაბამისად“.

3. საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვროს განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილსა და მოთხოვნილ განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართობის 4%-ისა და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებით ნამატი ფართობის 4%-ის ჯამური ოდენობის შესაბამისად, რაც შეადგენს 291.5 კვ.მ-ს.

4. გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე ჩარიცხვა განხორციელდეს მშენებლობის ნებართვის მიღებამდე.

5. შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ პერიოდში შენობა-ნაგებობაში არსებული

საზოგადოებრივი ფუნქციის ცვლილება მისი შემცირების მიზნით დაუშვებელია. შესაბამისად, მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიაზე, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ამონაწერში დაფიქსირდეს ვალდებულება: შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ პერიოდში შენობა-ნაგებობაში არსებული საზოგადოებრივი ფართის დანიშნულების უცვლელად შენარჩუნების პირობით.

6.წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.


7.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმაღაძეს.

8.ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე

[illegible]

0553501
 1/4: 406265410
 30b. d. 03802000, d6V36000, d60960,
 d6V86000, d. N522/24
 051925+(995), 593 49 71 71



Adress: Tbilisi, Krtsanisi St. # 22/24
Tel: +(995) 593 49 71 71

Ulaanbaatar

2023.5

1000

0 1000

A

სიმაღლის განსაზღვრის სქემები (ორნაჩაჩიშვილი)



ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო


შპს "საქსტელკომკავშირები"

21	2023	2023
21	2023	2023

d. 03206270160

[illegible][illegible][illegible]

ა) ბიზნეს-მრეწველობის განვითარების ინტენსივობის კოეფიციენტი (1-2)
ბ) არაფინანსური პირობები შეიძლება და შეცვალოს ნებისმიერ პიკის
ბიზნეს-გადასახადების ერთეულ სიღრმის განმარტებით რეკლამების
გადასახადების გარეშე.

[illegible]

ერსტე ჯორჯიან სტრუქტურული საზღვრები
საქართველო ბერძენილი საზღვარი

შენიშვნა: განთავსების ჰიეროქიითი არეალით
მინიმუმზე ავტომატურად სარეზუმებს
აქვე გამოიყენება



ბესკუბი
ს/ა. 406265410
მოს. ქ. თბილისი, ჭრანის რაიონი.
ჭრანის ქ. №22/24
ტელ. +995 593 49 71 71

TASHUB
Address: Tbilisi, Krtsanisi St. # 22/24
T: +995 502 40 74 74

Tel: + (995) 593 49 71 71

2

07682944

მიწის ნაკვეთის დატალური რეგლამენტი

მეჩის ნაკვეთების დეტალური რეკლამსტეტი	2				
ნაკვეთის ნომერი	2				
ნაკვეთის ფართობი	130 კვ.მ.				
მიქის ნაკვეთის დადგენილი მოხმარებით დანიშნულება	არასასოფლო-სასაქონლო				
ვეგმარების შეფასულება ზონა	საინჟინრო-ტექნიკური ზონის გენერალური შენაშენი				
ტერატიული სტრუქტურული ზონა	პერეფორირებული ზონა				
კონკრეტული ფუნქციური ზონა	საზოგადოებრივ საქმიანო ზონა 1 (საუბ-1)				
სამშენებლო გამოყენების სტრუქტურა	სამშენებლო გეგმადი				
ნებადირებული სახეობა და მასში შეტანილი ფუნქციები	ულამაზირებელი სახეობის გამაზირებელი/მომხმარებელი				
კ-1, კ-2, კ-3;	სუბ-1 კ-1=0.5 კ-2=0.5 კ-3=0.3				
შენიშვნა-ნაკვეთის მასშტაბული სიმაღლე ან/და სართილი	5 მეტრი				
მეჩის ნაკვეთის დაყოფა-გარეგანი	დაყოფილი				
ავტოსადგილების მინიმალური რაოდენობა	-				
შენიშვნის განთავსების წესი	ულამაზირებელი სახეობის გამაზირებელი/მომხმარებელი				



၁၆၂၃၆၀၀

U/S: 406265410

მის: ქ. თბილისი, ანანისის რაიონი.

16556060v.1, N#22/24

電話: +199515934971



Address: Thilisi Katsani St # 22/24

Adress: Ullst, Kilsaust
Tel: +(995) 593 49 71 71

მინი, ნახეთების დაბლური რეგლამები

[illegible][illegible]